



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000017523489020

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 17

24 / ივნისი / 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა (2020-2021) თანდართული ფორმით;
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. თელავი, აღმაშენებლის 41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ ყვინიშვილი



ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

2020-2021



ახმეტის მუნიციპალიტეტი

საქართველო

სექტემბერი 2019

მერის მიმართვა



ახმეტის მუნიციპალიტეტი თავისი ბუნებრივი მიმზიდველობით, ისტორიით, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნებით, სტუმართმოყვარეობით, მდიდარი ტრადიციებით წარმოადგენს საქართველოს გამორჩეულ მხარეს. ჩვენთვის პრიორიტეტული საკითხია ადგილობრივი შესაძლებლობის გამოყენებით, ხელი შევუწყოთ მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

დასახული მიზნების მიღწევას, მრავალმხრივი პარტნიორული ურთიერთობებით, საერთაშორისო მხარდაჭერით და არსებული გამოცდილების გაზიარებით შევძლებთ.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მისაღწევად, ადგილობრივ ძალისხმევას მივმართავთ, რათა სათანადოდ განვითარდეს ტურისტული ინფრასტრუქტურა და სერვისი, ბიზნესსექტორი, უზრუნველყოთ უფრო მეტად ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე თვითმმართველობის ფორმირება, ხელი შევუწყოთ მუნიციპალიტეტის, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ადგილის პოპულარიზაციას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, რათა ახმეტის მუნიციპალიტეტი საქართველოში ერთ-ერთ გამორჩეულ ტურისტულ და ეკონომიკურ ცენტრად იქცეს. ჩვენ თანასწორობის პრინციპის თანახმად, ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნეს სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით შევიმუშავეთ ორ წლიანი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომლის რეალიზებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტში მოვახდენთ შესაბამისი ფინანსების მობილიზებას.

იოსებ ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერი

გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ:

სახელი/გვარი: ლუხუმ შეთეკაურს

თანამდებობა: ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი.

მისამართი: ქ. ახმეტა, ბიძინა ჩოლოყაშვილის ქ. 49

ტელეფონი: +995 591 010188

ელ-ფოსტა: akhmetameria@gmail.com

ვებ-გვერდი: akhmeta gov.ge

1. მოკლე შეჯამება

ევროკავშირის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“, მუნიციპალიტეტისათვის წარმოადგენს არსებული გამოწვევების დაძლევის და სიღარიბის მაჩვენებლის შემცირების ახალ შესაძლებლობას, ადგილობრივი რესურსების გამოყენებით ხელს უწყობს ეკონომიკური განვითარების პროცესს და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებას, თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაზრდას მმართველობითი პროცესები გახდეს უფრო გამჭვირვალე, ინკლუზიური და ბიზნესისადმი მეგობრული.

მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა, ტურისტული მიმზიდველობები, განვითარებისათვის მოქმედი საგადასახადო შეღავათები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა, მდიდარი ბუნებრივი რესურსები, წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან გარემოებებს, არსებული შესაძლებლობების გამოყენებით შესაძლებელია მოხდეს მუნიციპალიტეტის, როგორც ტურისტულად მიმზიდველი და ბიზნესის წარმოებისათვის ხელსაყრელი მხარის პოზიციონირება საერთაშორისო დონეზე.

ეკონომიკური განვითარების ხედვა წარმოადგენს გრძელვადიან მიზანს, რომლის მიხედვით ახმეტის მუნიციპალიტეტში განვითარებულია კერძო სექტორი, გაზრდილია ადგილობრივი წარმოება და შექმნილია სამუშაო ადგილები. ახმეტა ქვეყნის მასშტაბით და საერთაშორისო დონეზე ერთ-ერთ ცნობილ ტურისტულ ცენტრს წარმოადგენს, განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურით და სერვისებით. მხარე ყველასათვის მიმზიდველია საცხოვრებლად და დასასვენებლად.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მთავარ მიზნებს წარმოადგენს:

1) ტურიზმის სექტორის განვითარების მხარდაჭერა.

2) ბიზნესსექტორის განვითარების მხარდაჭერა.

3) ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია

დასახული მიზნების მისაღწევად, მუნიციპალიტეტის მერიამ კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად, განსაზღვრა მთავარი ღონისძიებები: მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მონახულებად ტურისტულ ობიექტზე - კვეტერის ისტორიულ ძეგლთან ტურისტული ინფრასტრუქტურის და სხვა ტურისტულ ობიექტებთან მისასვლელი მანიშნებლების და საინფორმაციო დაფების მოწყობა, ქ. ახმეტის მიმზიდველობის გაზრდისათვის ქალაქის ცენტრალური ნაწილის იერსახის გაუმჯობესება, მრავალ ფუნქციური საზოგადოებრივი და ტურისტული მომსახურების ცენტრის მოწყობა, მუნიციპალიტეტის მიმზიდველობის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით საინფორმაციო ტურისტული ტურების ორგანიზება, ტურისტული ელექტრონული რუკის და მუნიციპალიტეტის საიმეჯო ვიდეორგოლის შექმნა, ბიზნესსექტორის წარმომადგენელთათვის სპეციალური სასწავლო კურსის ორგანიზება ბიზნესის მართვის საკითხებში, ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქციის რეკლამირებისათვის ფესტივალებში, გამოფენებში და სხვა ღონისძიებებში მათი მონაწილეობის ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა უზრუნველყოფს 2 წლიანი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის რეალიზებისათვის, ადგილობრივ ბიუჯეტში შესაბამისი ფინანსების გათვალისწინებას.

2. შინაარსი

მერის მიმართვა

1. მოკლე შეჯამება
2. შინაარსი
3. ცხრილები, გრაფიკები, აბრევიატურები
4. გეგმის შესავალი
5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი
6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი
 - 6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი
 - 6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება
 - 6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია
 - 6.4. წვდომა ფინანსებზე
 - 6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა
 - 6.6. საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები
 - 6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა
 - 6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი
7. SWOT ანალიზი
8. ხედვა და მიზნები
9. სამოქმედო გეგმა
10. დაფინანსებების სქემა
11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

დანართები

დანართი „ა“. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

3. აბრევიატურები

შშმ - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

SWOT - ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები

DMO - დესტინაციის მართვის ორგანიზაცია

4. გეგმის შესავალი

ახმეტის მუნიციპალიტეტი, მერის ხელმოწერით 2018 წლის აპრილში შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“, რაც მნიშვნელოვანი ხელშეწყობ ფაქტორად იქცა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისათვის.

მუნიციპალიტეტი მდებარეობს კახეთის რეგიონში. მისი მთავარი ქალაქი ახმეტა თბილისიდან დაშორებულია - 120 კმ-ით (1 სთ და 40 წუთის სავალი დროით). მუნიციპალიტეტის 2207,6 კვ.კმ მოიცავს ერთ ქალაქსა და 121 სოფელს, მათგან 75-ს მაღალმთიან დასახლებს სტატუსი აქვს. ახმეტის მუნიციპალიტეტი 29.6 ათასი ადამიანის სახლია. მათი 78% სოფლად ცხოვრობს. მუნიციპალიტეტში მოსახლეობის საშუალო ასაკი 42,7 წელს შეადგენს, აქედან მამაკაცის საშუალო ასაკი 40,5-ა, ხოლო ქალის 44,8.

წინამდებარე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა არის კერძო და საჯარო სექტორთან მჭიდრო დიალოგით შექმნილი გეგმა, რომელიც ფოკუსირებულია კერძო სექტორის განვითარებაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას ეკონომიკური ზრდა, განვითარება და დასაქმება. დოკუმენტი თანხვედრაშია მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტთან და საქართველოს სოციალური-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან „საქართველო 2020“. ასეთი დოკუმენტი აქამდე არ შემუშავებულა, ამასთან წინა პერიოდში პრიორიტეტული დოკუმენტების შემუშავება ხორციელდებოდა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების მიერ და დაინტერესებულ პირთათვის მისი გაცნობა სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში ხდებოდა.

გეგმაში გაწერილი ღონისძიებების 50% დაფინანსებული იქნება ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან და აისახება ადგილობრივ ბიუჯეტში პროგრამებისა და ქვეპროგრამების სახით. ყველა მათგანი კონკრეტული, დროში გაწერილი, მიღწევადი და გაზომვადია..

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებისას მერის უშუალო ჩართულობით მოხდა ადგილობრივ ხელისუფლების, ბიზნეს სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კონსულტაციების გამართვა, ინიციატივის კონცეფციის გაცნობა, ჩატარდა შეხვედრები ეკონომიკური აქტივობების ცალკეული სექტორებთან, საჭიროებების გამოვლენის, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით. გამოვლინდა დაინტერესებული მხარეები, შეირჩა დამგეგმავი პარტნიორები. მერის დავალებით მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ოფიცერი და შეიქმნა უშუალოდ გეგმის შემუშავებელი ჯგუფი, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის შეთანხმება მოხდა პარტნიორებთან.

4 შეხვედრა ჩატარდა მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან სხვადასხვა ეკონომიკური სექტორების მიხედვით შერჩეულ ფოკუს ჯგუფებთან. 1 გაფართოებული შეხვედრა მუნიციპალიტეტში მოქმედი ფინანსური ინსტიტუტების, საჯარო სექტორის და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან. 1 შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერიისა, საკრებულოს და ა(ა)იპ-ების წარმომადგენლებთან, 1 შეხვედრა სკოლის მოსწავლეებსა და მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოს წევრებთან. შეხვედრების დროს შეგროვდა როგორც ეკონომიკური ანალიზისთვის საჭირო მონაცემები, ასევე მოხდა საჭიროებების გამოვლენა, ხედვისა და მიზნების ვერსიების შემუშავება. შეხვედრების ორგანიზებისას გათვალისწინებული იქნა გენდერული ბალანსი.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა შემდეგნაირად გადანაწილდა: 1 წარმომადგენელი კერძო სექტორიდან, 2 წარმომადგენელი არასამთავრობო სექტორიდან, და 3 წარმომადგენელი

მუნიციპალიტეტის მერიიდან. საკვანძო გადაწყვეტილებების მიღება ხმათა უმრავლესობით მოხდა, უმეტესი ნაწილი კონსესუსის გზით შეჯერდა.

თავიდან რთული აღმოჩნდა პარტნიორულ ურთიერთობებზე საუბარი, შეხვედრების ორგანიზებისას ბიზნეს სექტორის ნაწილი წარმომადგენლები ფრთხილ პოზიციას იკავებდნენ. შეხვედრების შემდეგ ხშირი იყო დამატებითი შეხვედრების ინიციატივები და სატელეფონო კომუნიკაცია ბიზნეს სექტორიდან.

დიალოგის პროცესში განიხილული იქნა სექტორებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები, იდეების დონეზე მიღწეული იქნა შეთანხმება გარკვეულ პარტნიორულ ურთიერთობებზეც. მაგალითად, საოჯახო სასტუმროების მეპატრონეები და საოჯახო მარნების წარმომადგენლები შეთანხმდნენ თანამშრომლობასა და ერთმანეთის პროდუქტების რეკლამირებაზე.

მერის ინიციატივით შეხვედრების მიმდინარეობისას სექტორების მიხედვით დაიგეგმა პარტნიორული ურთიერთობები, დამატებით ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა მეღვინეებთან და მევენახეებთან. შეიქმნა ახმეტის მეღვინეთა ასოციაცია.

პარტნიორობისა და ერთობლივი მუშაობისათვის დაიგეგმა რიგი ღონისძიებები, რომლებიც გაწერილია სამოქმედო გეგმის ნაწილში.

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი მრეწველობით, ტურიზმით, მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროებით. აქედან ბრუნვისა და შემოსავლების გათვალისწინებით ყველაზე იმედისმომცემ და განვითარებად მიმართულებებად ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სექტორები მიიჩნევა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 1 მაისი მონაცემებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 3626 რეგისტრირებული საწარმო. ზომის მიხედვით 2018 წლის მონაცემებით: 5 მსხვილ, 30 საშუალო და 448 მცირე საწარმოდ კლასიფიცირდება.

2014 წელთან შედარებით რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა 17,2%-ითაა გაზრდილი. საწარმოების ზრდას ხელი შეუწყო ბოლო 4 წლის განმავლობაში ამოქმედებულმა ბიზნეს ხელშემწყობმა სახელმწიფო პროგრამებმა, განსაკუთრებით აღსანიშნავია მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტი. ასევე აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის დარგში მოქმედი პროექტების განხორციელებაც.

ტურიზმის სექტორის ზრდა ძირითადად თუშეთის არსებობით, მის გარშემო განვითარებული ტურისტული ობიექტების (60-მდე საოჯახო სასტუმრო), ღვინის ტურიზმის განვითარებით, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივ-ეთნოგრაფიული ძეგლების მრავალფეროვნებითა და სიმრავლითაა (კვეტერა, ალავერდი, მატნის ცხრაკარა, მალრაანის ციხე, თეთრი გიორგი და ა.შ) განპირობებული. საფეხმავლო და ველო ტურები ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულთათვის ბუნებრივი ლანდშაფტის გარემოში.

ტურისტული განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროექტების განხორციელება იძლევა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და მოსახლეობის სოციალური შესაძლებლობების ზრდის საშუალებას. ჩატარებული ანალიზის, პრაქტიკული დაკვირვების და დისკუსიების შედეგად გამოიკვეთა მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების შემდეგი მიმართულებები:

ეთნო-კულტურული და სანახაობრივი შიდა მუნიციპალური და წრიული ტურები პანორამული გადმოსახედების ჩართულობით.

თიანეთი-ახმეტა-ლაგოდეხი-ნინიგორის საავტომობილო გზის რეაბილიტაციამ აქტუალური გახადა ისტორიული ციხე-ქალაქ კვეტერის მისასვლელ გზასთან მიმდებარე ტერიტორიის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და ისტორიული ძეგლის ჩართვა სხვადასხვა ტურისტულ მარშრუტებში.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირების 9 ერთეული საოჯახო მცირე მარანი, რომელთა მიერ დამზადებული ღვინოები არაერთხელ ყოფილა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფესტივალებში გამარჯვებული. ბოლო პერიოდში მოსახლეობამ დაიწყო მევენახეობის და მეღვინეობის ტრადიციული მეთოდებით აღორძინება. აღსანიშნავია მათი მიდგომა, აწარმოონ ბიო ღვინო. ამ მხრივ აღსანიშნავია „აკოს მარანი“ რომელმაც მოკლე დროში დიდი პოპულარობა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ საოჯახო მარნებში წარმოების ტენდენცია მზარდია.

მუნიციპალიტეტში ძირითადად მცირე და საშუალო საწარმოები ფუნქციონირებენ. ისე როგორც დანარჩენ საქართველოშიც, ყველაზე მეტი საწარმო ვაჭრობისა და მომსახურების სექტორში მუშაობს, სულ 336 საწარმო. მუნიციპალიტეტში სასტუმროს ტიპის მომსახურებას ეწევა 83-ამდე ობიექტი სულ დღიურად 1203 საწოლით. სოფლის მეურნეობის დარგი წარმოდგენილია 13 მცირე საწარმოთი და 19 კოოპერატივით. ფერმერული მეურნეობების ძირითადი ნაწილი რეგისტრირებული არ არიან, როგორც საწარმოები. 2023 წლის პირველ იანვრამდე სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მწარმოებლები გათავისუფლებული არიან დასაბეგრი შემოსავლიდან, აღნიშნული არ ავალდებულებთ, პირველადი პროდუქციის მწარმოებლებს რეგისტრაცია გაუკეთონ თავიანთ საქმიანობას. მრეწველობის დარგში მოქმედი 34 მცირე, 3 საშუალო და 1 მსხვილი საწარმო წარმოდგენილია ღვინის ქარხნების, საშენი მასალებისა და ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობის, ავეჯის საწარმოებით, უალკოჰოლო სასმელების ჩამომსხმელი მუნიციპალიტეტში პროდუქციის დინამიკა ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. თუმცა დიდ პრობლემას წარმოადგენს სასაწყობე -სამაცივრე მეურნეობების არ არსებობა.

2014 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორში წლიური ბრუნვა შეადგენდა 50,7 მილიონ ლარს, 2015 წელს წარმოებული პროდუქციის მოცულობა 64,6 მლიონ ლარს შეადგენდა, 2016 წელს 90,7 მილიონ ლარს, ხოლო 2017 წელს 87,5 მილიონ ლარს რაც 2,2 მილიონი ლარით ნაკლები იყო წინა საანგარიშო წელთან შედარებით, მაგრამ 2014 წელთან შედარებით წლიური ბრუნვა გაიზარდა 36,8 მილიონი ლარით.

მუნიციპალიტეტში მოქმედებენ მეცხოველეობისა და მეფრინველეობის მეურნეობებში წარმოებული ხორცი ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ ბაზარს, რის გამოც ხორც-პროდუქტების დიდი წილი ბაზარზე იმპორტულ საქონელს უკავია.

სოფლის მეურნეობის დარგში წარმოების ზრდას აფერხებს სასოფლო-სამეურნეო სერვისებზე და აგრო ტექნიკაზე ნაკლებად ხელმისაწვდომობა და დარგის სპეციალისტების სიმცირე. მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია ახალი დაავადებების გავრცელება.

მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის მოცულობას მნიშვნელოვანი წილი უკავია რეგიონის მთლიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ეს განსაკუთრებით ეხება ყურძნის ხილის, ბოსტნეულის, ხორცისა და ყველის წარმოებას. თუმცა, ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მათი რაოდენობა გაცილებით მწირია მოთხოვნასთან შედარებით და წარმოებული პროდუქცია ვერ აბალანსებს მუნიციპალიტეტის ბაზრის მოთხოვნებს, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში ხდება პროდუქციის გარედან შემოტანა. რაც შეეხება ღვინის წარმოების მასშტაბებს, ისინი ძირითადად გააქვთ ქვეყნის შიდა ბაზარზე და განკუთვნილია ექსპორტისთვისაც.

6.2 ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური კავშირები

ბიზნეს კომპანიებს შორის თანამშრომლობის ქსელი ნაკლებადაა ჩამოყალიბებული, შეიძლება ითქვას განვითარების საწყის ეტაპზეა, ამასთან, წინასწარ არ ხდება საჭიროებების კვლევა. მუნიციპალიტეტში თანამშრომლობისა და კომუნიკაციის სტრუქტურული მექანიზმი ან რაიმე ინსტიტუცია ჩამოყალიბებული არ არის, ბიზნესის წარმომადგენლები ერთმანეთისთვის ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებას სპონტანური შეხვედრებისას თუ ახდენენ. სოფლის მეურნეობაში არსებობს გარკვეული სტრუქტურირებული თანამშრომლობის გამოცდილება, რაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების არსებობაში გამოიხატება. დაახლოებით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების, სახელმწიფო ინიციატივებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით აქტიურად მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა და მსგავსი ტიპის თანამშრომლობის წახალისება.

6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია: მუნიციპალიტეტში მერიაში საქმისწარმოება ხორციელდება „ერთი ფანჯრის,, პრინციპით, ფოსტით თუ ხელზე შეტანილი დოკუმენტი რეგისტრირდება მერიის საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში, შემცირებულია დოკუმენტ ბრუნვის დრო. ელექტრონული საქმის წარმოების სისტემით მუნიციპალიტეტი უკავშირდება ყველა სამთავრობო ორგანიზაციას და სხვა საჯარო დაწესებულებებს. მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია ახდენს ინფორმაციის პრო აქტიურად გამოქვეყნებას. მოქმედებს მერიის ვებ-გვერდი და მერიის დაქვემდებარებაში მყოფი საინფორმაციო სამსახური, რომლებიც ძირითადად ადგილობრივ ხელისუფლების ჩართულობით განხორციელებულ აქტივობებს აშუქებენ. მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური ბიზნეს სექტორთან ურთიერთობს მომართვის შემთხვევაში, გასცემს ინფორმაციასა და უწევს კონსულტაციებს ბიზნესის წარმომადგენლებს. განსაკუთრებით დამწყებ მეწარმეებს, უმეტეს შემთხვევაში უძნელდებათ არსებულ საკანონმდებლო ნორმებსა და რეგულაციებზე ინფორმაციის მოძიება. მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურში მოქმედებს ტურიზმის განვითარების განყოფილება. ტურიზმის განყოფილებას ასევე შეთავსებული აქვს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ფუნქცია. არსებული მდგომარეობის კვლევა აჩვენებს, რომ ბიზნესის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით მცირე და დამწყებ მეწარმეებს უჭირთ საჭირო ინფორმაციის მოძიება და დამუშავება.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია ცდილობს ხელი შეუწყოს ბიზნეს სექტორის განვითარებას სხვადასხვა საქმიანობების განხორციელებით. მიუხედავად ამისა, აღნიშნული საქმიანობები სპონტანური ხასიათისაა, არ არის მოქცეული კონკრეტულ სისტემაში და არ ეყრდნობა რაიმე სახის სტრატეგიულ დოკუმენტს.

ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული ტენდერების შესახებ განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია საკუთარი სატენდერო წინადადების წარდგენა. სატენდერო კომისიის საქმიანობა გამჭვირვალეა და ყველა გადაწყვეტილება აიტვირთება სააგენტოს ვებ გვერდზე.

მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გაცემა ან პრივატიზება ხორციელდება ელექტრონული აუქციონის მეშვეობით, საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გასაცემი ქონების მონაცემები თავსდება ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები ღიაა მოქალაქეებისთვის და მათ შეუძლიათ წარმოადგინონ შენიშვნები და ინიციატივები. თუმცა ბიზნესის

წარმომადგენლების მხრიდან საკრებულოსადმი მიმართვების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. მუნიციპალიტეტში მოქმედებს მერიის დაქვემდებარებაში არსებული გაზეთი, მერიის ვებ გვერდი და საინფორმაციო ცენტრი რომლებიც აქტიურად აშუქებენ ადგილობრივ სიახლეებს და მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მუშაობას, მუნიციპალიტეტში განიხილება საკითხი შემუშავდეს ბიზნეს ხელშემწყობი პროგრამები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუნიციპალიტეტის ცნობადობის ზრდას და ინვესტორების დაინტერესებას, შეირჩეს კერძო სექტორთან თანამშრომლობის და ურთიერთობის ფორმები, გაუმჯობესდეს კომუნიკაცია და ინფორმირებულობა სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებზე.

6.4. ფინანსების ხელმისაწვდომობა: ბიზნესის განვითარებისთვის არსებული ფინანსური რესურსების შესახებ ინფორმაცია მწირია, მიუხედავად სახელმწიფო პროგრამების არსებობისა და მათ ვებ გვერდზე გამოქვეყნებისა განთავსებული მონაცემები არ არის საკმარის და საჭიროებს დაზუსტებებს. ამასთან მუნიციპალიტეტში მოქმედებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლობა, რომლებიც სრულყოფილად ვერ ახდენენ სამინისტროს ხელშეწყობით განსახორციელებელი პროექტებზე მოსახლეობის ინფორმირებას და დაინტერესებას. სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის პროცედურები ხშირ შემთხვევაში დროში იწელება და კერძო სექტორი არჩევს საკუთარი შეზღუდული რესურსებით განახორციელოს დაწყებული საქმე. ამასთან, ბიზნეს კომპანიების უმეტესობას ინტერნეტ რესურსებთან წვდომა არ აქვთ და საჭიროებენ ინფორმაციის დიალოგის რეჟიმში მიწოდებას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გასცემს სესხებს მცირე ბიზნეს კომპანიებისა და აგროსექტორისთვის 20 000 (7500 ევრომდე) ლარამდე ყოველგვარი გირაოს გარეშე. მოთხოვნა მეტი ოდენობის სესხებზე იზრდება და ბიზნეს კომპანიები სირთულეებს აწყდებიან სესხებისათვის საჭირო გირაოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამასთან მსხვილი სესხების გაცემა განიხილება ბანკების რეგიონალურ და სათაო ოფისებში. ბანკები სესხებს გასცემენ როგორც ძირითადი საშუალებების შესაძენად ასევე საოპერაციო ხარჯებისა და საბრუნავი საშუალებებისთვის. ბიზნეს მძიმე ტვირთად აწევა სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი, ბანკები სესხებს არ გასცემენ სტარტაპერებისთვის, ბიზნეს კომპანიებს უნდა ქონდეთ მინიმუმ 6 თვიანი ბრუნვა.

სახელმწიფოს მხრიდან სოფლი მეურნეობის დარგში მოქმედ პროექტებში დაფინანსების პროცესები ხშირად ჭიანჭურდება და მეწარმეები აგრო ვადებში ვეღარ ეტევიან;

6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა: ბოლო წლებში ბიზნესის განვითარების ტენდენციის პარალელურად იზრდება მოთხოვნა შენობა-ნაგებობებზე, მიწასა და ინფრასტრუქტურაზე. მერიის ეკონომიკის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწების იდენტიფიცირებას, დაურეგისტრირებელი მიწების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციას, საკუთრებაში არსებულის შენობა-ნაგებობების ინვენტარიზაციას.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ბარის ზონაში რეგისტრირებულია 1619 ჰა სახნავ-სათესი მიწა, ხოლო ალპურ ზონაში 84380 ჰა. სამოვარი, 9 ჰა არასასოფლო დანიშნულების მიწა.

საოფისე ფართები ძირითადად კერძო საკუთრებაშია, მაგრამ ფასები იმდენად მაღალია, ბიზნეს კომპანიებს არ აქვთ სახსრები იქირაონ ეს ფართები. მუნიციპალიტეტი გეგმავს შეიქმნას ბიზნეს ინკუბატორი, რომელიც გათვლილი იქნება კერძო ბიზნესის მოთხოვნებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული და სახელმწიფო ქონებები

ძირითადად ამორტიზირებულია, ამასთან უმეტესი ნაწილს არასტრატეგიული მდებარეობა აქვს საოფისე, სავაჭრო ფართებისათვის.

დროში იწელება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, მიწისა და ინფრასტრუქტორის პრივატიზებითა და სარგებლობის უფლებით გადაცემის პროცედურები, რაც გარკვეულ დაბრკოლებებს უქმნის კერძო ბიზნესს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაშია 1619 ჰა მიწა, დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში გარკვეული ქონებების გადმოცემა დაბრკოლებით, მაგრამ მაინც ხდება მუნიციპალიტეტზე. სახელმწიფო მის საკუთრებაში არსებულ ქონებას მაღალ, შეუსაბამო საპრივატიზებო ფასს ადებს, რის გამოც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მათ მიერ ქონების გასხვისება არ განხორციელებულა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა გეგმავს საინვესტიციო მონაცემების ბაზის შექმნას, სადაც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებებთან და წინადადებებთან ერთად განთავსებულის იქნება კერძო სექტორის საინვესტიციო წინადადებები. აგროსექტორის განვითარებისა, მიწების რაციონალურად გამოყენებისთვის და კულტურების სწორად შესარჩევად მნიშვნელოვანია ნიადაგის ლაბორატორიული კვლევების ჩატარება.

6.6. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო: ბიზნესის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ბიუროკრატიული ბარიერები მოხსნილია ჯერ კიდევ არსებობს რიგი რეგულაციები და ადმინისტრაციული წესები. ყველაზე დიდი პრობლემაა მშენებლობის ნებართვის მისაღებად ყველა პროცედურის გავლა. ამ სფეროში არ არსებობს კოორდინაცია უწყებებს შორის და სხვადასხვა უწყება ითხოვს ერთი და იგივე ინფორმაციის წარდგენას. თითოეულ ცალკეულ დამტკიცებას დრო სჭირდება და მშენებლობის ნებართვაზე განაცხადების განხილვა არ ხდება ერთდროულად ყველა პასუხისმგებელი უწყების მიერ, ხოლო მომდევნო უწყება ელოდება წინა უწყების განხილვის შედეგს... ამასთან გარკვეული დაბრკოლებებით მიმდინარეობს მიწისა და ქონების რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და გაცემა. მუნიციპალიტეტში შესამუშავებელია სოფლის მეურნეობის და ტურიზმის განვითარების პროგრამები და სტრატეგიები, შესამუშავებელი და დასამტკიცებელია მარკეტინგული სტრატეგია და სტარტაპერების ხელშემწყობი პროგრამები.

6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ჩართულობა: სამუშაო ძალის განვითარება მუნიციპალიტეტისთვის შედარებით ახალი კონცეფციაა. საგანმანათლებლო სისტემა არ პასუხობს ბიზნეს სექტორის რეალურ საჭიროებებს. მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პირობებში მოთხოვნა მომსახურე პერსონალზე და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე დიდია. მაღალ მოთხოვნადია აგრეთვე უცხო ენების მცოდნე გიდები, მზარეულები, ვეტერინარები, ფინანსისტები, იურისტები და სხვა კადრები. ფაქტობრივად მოთხოვნაა კვალიფიციურ კადრებზე თითქმის ყველა სექტორში, თუმცა იმის გამო, რომ ადგილობრივ შრომის ბაზარზე დაბალია შრომის ანაზღაურება(2016 წელს დაქირავებით შრომის ანაზღაურების საშუალო ოდენობა შეადგენდა 250 ლარს, რაც წინა წელთან შედარებით თითქმის 20%-ითაა შემცირებული) მუნიციპალიტეტიდან შრომისუნარიანი და კვალიფიციური კადრები გასულია უცხოეთის ქვეყნებში.

შიდა მუნიციპალური დასაქმების სააგენტო არ არსებობს, დასაქმების მსურველები პირადი კონტაქტებით ან ინტერნეტ რესურსებით იძიებენ ვაკანსიებს.

ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებებს შემთხვევითი ხასიათი აქვს და არ არსებობს კოორდინაცია მუნიციპალიტეტს, ბიზნეს სექტორს და საგანმანათლებლო ორგანიზაციებს შორის. ამასთან ზოგიერთი ბიზნეს კომპანია უზრუნველყოფს სწავლებას მხოლოდ მათი

საჭიროებების მიხედვით, მაგრამ მას არ აქვს ორგანიზებული ხასიათი და ეს არ არის შეთანხმებული ამავე სექტორში მომუშავე სხვა კომპანიებთან.

6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი: მუნიციპალიტეტი მიმზიდველ ადგილად ითვლება ტურისტული და ინვესტირების თვალსაზრისით. მუნიციპალიტეტი რეგიონის და ქვეყნის მასშტაბით ცნობილია ღვინით. მეღვინეები მუდმივად იღებენ მონაწილეობას ღვინისა და ადგილობრივი პროდუქციის ფესტივალებში, საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში, არიან სხვადასხვა ფესტივალში გამარჯვებულები როგორც ქვეყნის შიგნით ისე საზღვარგარეთ. ბოლო წლებში გაიხსნა 9 საოჯახო ღვინის მარანი და საოჯახო სასტუმროები. რომლებიც მუნიციპალიტეტის თითქმის მთელს ტერიტორიაზე გადანაწილებული.

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისფლების ძალისხმევამ ახმეტის ტურისტულ ადგილად პოპულარიზაციის მიმართულებით, სხვადასხვა სარეკლამო კამპანიებმა, ქვეყანაში ტურისტების ზრდის ტენდენციამ განაპირობა ტურისტების ნაკადის ეტაპობრივი ზრდა ქვეყნის სხვა რაიონებიდან და საზღვარგარეთიდან.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია და ტურიზმის განყოფილება მუშაობენ მუნიციპალიტეტის შესახებ ცნობადობის ამაღლებაზე, მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში და ფესტივალებში. კახეთის DMO- სთან ერთად შემუშავებულია მუნიციპალიტეტის ტურისტული რუკა, ბუკლეტები.

7. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<p>1. მუნიციპალიტეტის ხელსაყრელი მდებარეობა და ზომიერი კლიმატური პირობები</p> <p>2. სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა მიმართულებების განვითარების საშუალება.</p> <p>3. ბუნებრივი რესურსების საკმარისი რაოდენობა.</p> <p>4. ტურისტული ობიექტების მრავალმხრივი განვითარების პერსპექტივა.</p> <p>5. საოჯახო ღვინის მარნების მატების ტენდენცია და ბიო ღვინის წარმოება;</p> <p>6. მევენახეობისთვის ახალი ფართობების ათვისება.</p> <p>7. თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო მიწები და ინფრასტრუქტურა</p>	<p>1. მუნიციპალიტეტის არასაკმარისი ცნობადობა.</p> <p>2. მუნიციპალური სერვისების არარსებობა.</p> <p>3. ტურიზმის სფეროში მომსახურე პერსონალის არასაკმარისი კვალიფიკაცია.</p> <p>4. ბიზნეს სერვისებისა და ინფრასტრუქტურის ნაკლებობა</p> <p>5. სამეწარმეო განათლების არასათანადო დონე.</p> <p>6. ადგილობრივი შრომისუნარიანი კადრების მიგრაცია;</p> <p>7. ნაკლებად ხელმისაწვდომი სასოფლო სამეურნეო ტექნიკა და სერვისები</p> <p>8. კერძო ინვესტიციების სიმწირე.</p> <p>9. მეცხოველეობის დარგის დაბალპროდუქტიულობა.</p> <p>10. ინვესტიციებსა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა</p> <p>11. არასაკმარისად გამართული საგზაო და ბიზნეს ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა</p> <p>12. სამუშაო ადგილების სიმცირე</p>
შესაძლებლობები	საფრთხეები
<p>1. ქვეყანაში მოქმედი ბიზნეს ხელშემწყობი პროექტები;</p> <p>3. ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკა</p> <p>4. ტურისტების ზრდის მაღალი ტენდენცია;</p>	<p>1. სტანდარტებისა და ხარისხის სერტიფიკატების მოთხოვნები</p> <p>2. სოფლის-მეურნეობაში პირუტყვის დაავადებები</p>

